

ინსტიტუციონალური რეფორმის გეგმა 2011-2015

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი (საკ)
ივლისი 2011

შესავალი

წინამდებარე ინსტიტუციონალური განვითარების გეგმა (IRP) შემუშავებულია აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის (საკ) მიერ, მისი შესაძლებლობების გაზრდის და ინსტიტუციონალური განვითარების მიზნით, რომელიც ეფუძნება:

ა) საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებულ სტრატეგიას ("სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" №965, 16.07.2010) - შემდეგ ტექსტში - „სტრატეგია“

ბ) პროგრამას ("სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმების და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ" №1140, 25.08.2010) - შემდეგ ტექსტში - „პროგრამა“ და

გ) ევროკავშირის ექსპერტების მიერ განხორციელებულ საჭიროებათა (GAP) ანალიზს.

ინსტიტუციონალური რეფორმის გეგმის მოკლე მიმოხილვა

ინსტიტუციური განვითარების გეგმა (შემდგომში - გეგმა) განსაზღვრავს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველო - ევროკავშირის თანამშრომლობის შეთანხმების (PCA) 51-ე მუხლის იმპლემენტაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების საკითხებს საქართველოში მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების დაწყებისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

საქართველოში აკრედიტაციას ახორციელებს ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი, რომელიც წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აკრედიტაციის ცენტრი შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციას ახორციელებს აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც რეგულირებულ, ასევე ნებაცემობით სფეროში. აკრედიტაცია ხორციელდება ექსპერტული შეფასების საფუძველზე.

გეგმა ასახავს ცენტრის საჭიროებებს და მათი შეფასების ანალიზის გათვალისწინებით მოიცავს ამ საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის გასატარებელ რეფორმებს, განსახორციელებელ ღონისძიებებს, მიღწეული შედეგების შეფასების კრიტერიუმებს, ვადებს და საჭირო რესურსების 2011-2014 წლებში, რაც საჭიროა ცენტრის შესაძლებლობების ზრდის და ინსტიტუციონალური რეფორმირებისათვის.

გეგმა წარმოადგენს მოქნილ დოკუმენტს, რომელიც პერიოდულად შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები ცენტრში განხორციელებული ღონისძიებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. გეგმით განსაზღვრული ინდიკატორების მიღწევა იქნება იმ პროგრესის მაჩვენებელი, რომელიც მიიღწა სრული პროცესის შესაბამის ინტერვალში.

არსებული გეგმა მოიცავს:

რეფორმირების მიზანი	პროგრამასთან შესაბამისობა
<p>აკრედიტაციის სისტემის გაძლიერება და მისი მზაობა EA-სთან ორმხრივი ხელშეკრულების (BLA) და/ან ILAC-თან მრავალმხრივი ხელშეკრულებისათვის (MRA) განაცხადის გასაკეთებლად რეფორმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:</p>	<p>პროგრამა, ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-პროგრამა, მიზნები #28</p>
<p>1. აკრედიტაციის ცენტრის ინსტიტუციონალურ მიუკერძოებლობა - ხარისხის საბჭოს, აკრედიტაციის საბჭოსა და სექტორული ტექნიკური კომიტეტების ფუნქციონირება.</p>	<p>პროგრამა, ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-პროგრამა, მიზნები #15,18</p>
<p>2. ორგანიზაციული განვითარების გეგმის/სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს: ორგანიზაციული განვითარება, ფინანსური დაგეგმვა, ადამიანური რესურსების განვითარება და მარკეტინგი.</p>	<p>პროგრამა, ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-პროგრამა, მიზნები #14,19</p>
<p>3. IT ინფრასტრუქტურისა და ვებ-გვერდის მოდერნიზაცია</p>	<p>პროგრამა, ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-პროგრამა, მიზნები #20, 22</p>
<p>4. შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, აკრედიტაციის ცენტრის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში, აკრედიტაციის წესების და პროცედურების განვითარება საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ბაზაზე</p>	<p>პროგრამა, ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-პროგრამა, მიზნები #7, 12, 13, 16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 26, 27, 28, 29.</p>
<p>5. ინფორმირებულობის ზრდა აკრედიტაციის თაობაზე, დაინტერესებულ მხარეებთან განვითარებული ურთიერთობების გზით. აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის წარმართვა საქართველოს ეკონომიკისა და დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებათა სათანადოდ.</p>	<p>პროგრამა, ინსტიტუციონალური განვითარების ქვე-პროგრამა, მიზნები #2, 25.</p>

ინსტიტუციონალური რეფორმის სფეროები/საჭიროებები და დაგეგმილი ღონისძიებები

აკრედიტაციის ცენტრის რეფორმირების მიმართულება 1: აკრედიტაციის ცენტრის ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობა

1.1. აკრედიტაციის საბჭო

აკრედიტაციის მიუკერძოებლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ეროვნული ორგანოს ფუნქციონირებისათვის, რომელიც მოთხოვნილია ISO/IEC 17011-ის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად

აკრედიტაციის საბჭო ჩამოყალიბდება 2014 წელს და წარმოდგენილი იქნება ყველა დაინტერესებული მხარით.

დაგეგმილი ღონისძიებები: აკრედიტაციის საბჭოს ჩამოყალიბება და მასში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

1.2. სექტორული ტექნიკური კომიტეტები

საკ-მა უნდა უზრუნველოს ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური ცოდნის და ექსპერტული რჩევების მიღება, აკრედიტაციისათვის საჭირო შემფასებლების მოძიება, რაც დაეხმარება საკ-ს მიდგომათა ჰარმონიზაციაში და აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წარმოქმნილი რთული სიტუაციების დაძლევაში.

ტექნიკური კომიტეტები წარმოადგენენ აკრედიტაციის მრჩეველ ორგანოს და დაკომპლექტებულია საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე წევრებისაგან.

აკრედიტაციის ცენტრმა ჩამოყალიბა ორი ტექნიკური კომიტეტი - სერტიფიკაციის, და ლაბორატორიული კომიტეტები. ასევე ჩამოყალიბდა საშუალო ჯგუფი პროფესიულ ტესტირებაში. იგეგმება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების კომიტეტის შექმნა. უახლოეს მომავალში საკ-ი გეგმავს სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაციას და მიზნად ისახავს ასევე სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკური კომიტეტის ჩამოყალიბებას ცალკეულ ან უკვე არსებულის ქვე-კომიტეტის ფარგლებში.

დაგეგმილი ღონისძიებები: არსებული ტექნიკური კომიტეტები შესაძლოა არ იყოს საკმარისი და დამატებით ჩამოყალიბდეს ცალკე ლაბორატორიული მედიცინის, საინსპექციო ორგანოების ტექნიკური კომიტეტები. ასევე, შესაძლოა ჩამოყალიბდეს საშუალო ჯგუფები საჭიროების მიხედვით.

აკრედიტაციის ცენტრის რეფორმის მიმართულება 2: ორგანიზაციული განვითარების გეგმა

2.1. ორგანიზაციული განვითარების გეგმა

ორგანიზაციული განვითარების გეგმა მოიცავს სამ ასპექტს: ფინანსურს, ადამიანური რესურსების განვითარების (სწავლება და ტრენინგები) და მარკეტინგს. მიუხედავად მათი განცალკევებულად განხილვისა, სამივე წარმოადგენს ორგანიზაციული განვითარების გეგმის განუყოფელ ნაწილს.

დაგეგმილი ღონისძიებები: არსებული გეგმა (IRP) წარმოადგენს აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზაციული განვითარების მიმართულებას და არ საჭიროებს რაიმე დამატებით ქმედებებს.

2.2. ფინანსური დაგეგმვა

მიმდინარე ეტაპზე, აკრედიტაციის ცენტრი ფინანსდება ორი წყაროდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აკრედიტაციის მომსახურებიდან შემოსული საკუთარი შემოსავლებიდან. სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული სუბსიდიები ხმარდება ცენტრის თანამშრომლების ხელფასებს და საერთაშორისო ორგანიზაციებში (EA, ILAC) ყოველწლიურ საწევრო გადასახადს.

ცენტრის შემოსავლების გენერირებისა და სტაბილურობის მიღწევისათვის გადახედვას საჭიროებს ფასების სტრუქტურა და დანახარჯები. ცენტრის ფასები არ გაზრდილა 2006 წლის შემდეგ და შედეგად სახეზეა მომსახურების ყველაზე დაბალი ფასები EA-ს სივრცეში.

ცენტრის ფინანსური მდგრადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობის მოთხოვნის და რეგულირებად სფეროში მიზნების უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობის „პროგრამის“ შესაბამისად უკვე განხორციელდა შესაბამისი ცვლილება საქართველოს კანონში - „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ.“

დაგეგმილი ღონისძიებები: აკრედიტაციის მიერ გაწეული მომსახურების საფასურების წესის მთავრობის შესაბამისი აქტით დამტკიცება. შემდგომში ფინანსური დაგეგმვის სისტემის განვითარება, რომელიც მის საზოგადოებრივი მომსახურების და მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, დააბალანსებს ცენტრის შემოსავლებს აკრედიტაციის 4-წლიანი განვითარების გეგმასთან მიმართებაში.

2.3. ადამიანური რესურსების განვითარება

მნიშვნელოვანია ცენტრის კადრების და მენეჯმენტის სტაბილურობა

კადრების ტრენინგი

ძირითადი ყურადღება გადატანილი იქნება საუშაო ადგილზე ტრენინგების (OJT) ჩატარებაზე, ისეთ საკითხებში, როგორცაა განსაკუთრებული აკრედიტაციის სქემები, მიკვლევადობა და მეთოდების ვალიდაცია. ადგილზე ტრენინგები საჭიროა პერსონალის შემდეგი

კატეგორიებისათვის, 8 წამყვანი შემფასებელი და მენეჯმენტი, თეორიული ტრენინგი დაახლოებით 50 აკრედიტაციის სამუშაოებში მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისათვის და შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენელთათვის.

ტრენინგების სპეციფიკა თითოეულისათვის შემდეგი სახისაა:

- აკრედიტაციის ცენტრის წამყვანი შემფასებლებისათვის: ძირითადი აქცენტი გაკეთდება სპეციფიკურ ტექნიკაზე და სახელმძღვანელო დოკუმენტებზე, რომლის მიხედვითაც უნდა შემუშავდეს მიდგომა აკრედიტაციაში, კითხვარების გამოყენება, პროექტების მენეჯმენტი და ა.შ.
- აკრედიტაციის სამუშაოებში ჩართული მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისათვის: თითქმის ზემოაღნიშნულის იდენტურია, თუმცა, არის განსხვავება - მნიშვნელოვანია ტექნიკური დეტალების ძირეული ხედვა.
- შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისათვის: ძირითადი აქცენტი კეთდება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შერულებაზე, კერძოდ - ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვაზე, ხარისხის ჩანაწერებისა და ოქმების სრულად, ზედმიწევნით ჩამოყალიბებასა და აკრედიტაციის ცენტრთან თანამშრომლობაზე.

ადამიანური რესურსების განვითარების დაგეგმა

დაგეგმილი ღონისძიებები: ადამიანური რესურსების განვითარების დაგეგმა მოიცავს:

- აკრედიტაციის პერსონლის შესაბამისი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა, სხვადასხვა ბიზნეს სექტორში არსებულ მოთხოვნასა და სამომავლო კანონმდებლობის ადეკვატურად. კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები და მისი ეტაპობრივი დაახლოება EU-ს ახალი მიდგომის დირექტივებთან, რაც ხელს შეუწყობს იმ ორგანოების რაოდენობრივ ზრდას, რომელები საჭიროებს აკრედიტაციას და პერიოდულ კონტროლს. მაგ: ინსპექტირების ორგანოები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრები, სამედიცინო ლაბორატორიები და ა/შ.

პროექტების მართვის უნარები. ტრენინგი შეიძლება მოიცავდეს ბიზნესისა ან პროექტების მენეჯმენტს. მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებისათვის მენეჯმენტის მართვის უნარების გაღრმავება, ვინაიდან თითოეულ შემფასებელი მართავს დაახლოებით 20 პროექტს წელიწადში.

მოწვეული ტექნიკური შემფასებლების (ექსპერტები) უნარები: ხელშეკრულებით მომუშავე შემფასებლები საჭიროებენ ტექნიკური ცოდნის და უნარების გაუმჯობესებას, მათ მიერ შესაფასებელი სფეროების შესაბამისად.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების პერსონალის ინფორმირებულობა: საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესრულება, კერძოდ - ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, ხარისხის ჩანაწერებისა და ოქმების სრულად, ზედმიწევნით ჩამოყალიბება და აკრედიტაციის ცენტრთან თანამშრომლობა.

2.4. მარკეტინგი

ცენტრისათვის არაა აუცილებელი მარკეტინგული გეგმის შემუშავება, მაგრამ მნიშვნელოვანია მის მიერ მიწოდებული სერვისის სწორი და მიზანმიმართული მარკეტინგი. დღეისათვის არსებული ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ცენტრის მომსახურების სფერო შესაძლოა გაფართოვდეს. ცენტრმა უნდა განახორციელოს ბაზრისათვის ისეთი სფეროების შეთავაზება, რომელიც დაფუძნებული იქნება მომხმარებლის მოთხოვნებზე და საკანონმდებლო მოთხოვნებზე (ცვლილებებზე) მაგ: აკრედიტაციის შეთავაზება ლაბორატორიული მედიცინის და ინსპექტირების ორგანოებისათვის.

აკრედიტაციის ცენტრი აწარმოებს და აქვეყნებს აკრედიტირებული პირების ნუსხას და აქვეყნებს მას ვებ გვერდზე (სამ ენაზე - ქართული, რუსული, ინგლისური). ეს კეთდება, როგორც ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე არსებული კანონმდებლობის მოთხოვნის თანახმად.

დაგეგმილი ღონისძიებები: აკრედიტაციის საერთაშორისო სქემების და ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური, მარკეტინგული საქმიანობის წარმოება, რათა საკ-მა პოტენციურ კლიენტებს ეფექტურად შესთავაზოს არსებული და ახალი მომსახურებები.

3. აკრედიტაციის ცენტრის რეფორმის მიმართულება 3: IT ინფრასტრუქტურა და ვებ გვერდის მოდერნიზაცია

აკრედიტაციის ცენტრმა მის პოტენციურ კლიენტებს და საზოგადოებას უნდა მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს აკრედიტაციის ძირითად მოთხოვნებს, საჭირო შესავსებ ფორმებს, აკრედიტაციის საერთო ღირებულებას და აკრედიტირებული პირების ნუსხას. ასევე, მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ცენტრის ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის (MIS) შექმნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება აკრედიტაციის დოკუმენტაციის, ინფორმაციის, ტექნიკურ შემფასებლებზე და ექსპერტებზე არსებული ბაზის მართვა.

დაგეგმილი ღონისძიებები:

- აკრედიტაციის ცენტრს უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციული და ადვილად მოხმარებადი ვებ-გვერდი;
- მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა. ის მართავს დოკუმენტაციას და ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელია შეფასების ზუსტი და სანდო გადახედვა განაცხადის მიღებიდან მის საბოლოო დასრულებამდე;
- ცენტრის ქსელის და ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის შესაბამისად ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკით ცენტრის უზრუნველყოფა. მაღალი ტევადობის სერვერი, შიდა მეხსიერების მოწყობილობა ინფორმაციის დასაარქივებლად, მაღალი შესაძლებლობის უწყვეტი დენის წყარო (UPS).

აკრედიტაციის ცენტრის რეფორმის მიზანი 4: შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურა

4.1. აკრედიტაციის ცენტრის მიერ კომპეტენტური შეფასების უზრუნველყოფა.

აკრედიტაციის ცენტრის ძირითადი ფუნქციაა სხვადასხვა სპეციფიურ სფეროში მომუშავე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების კომპეტენტურობის შეფასება.

აკრედიტაციის ცენტრმა უნდა განავითაროს 2008 წლიდან TACIS პროექტის ფარგლებში შემუშავებული, აკრედიტაციის ცენტრის ხარისხის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17011 -ის (შესაბამისობის შეფასება. ზოგადი მოთხოვნები შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის ჩამტარებელი ორგანოებისადმი) მიხედვით.

TACIS-ის მხარდაჭერით მიღწეულს გასაუმჯობესებლად აკრედიტაციის ცენტრს ესაჭიროება ღონისძიებების გატარება, რათა მიაღწიოს კომპეტენტურობის იმ დონეს, რომლებიც განსაზღვრულია EA-სა (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) და სხვა საერთაშორისო მოთხოვნებით.

მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ცენტრის და საქართველოს სტანდარტების, მეტროლოგიისა და ტექნიკური რეგლამენტების ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობა, მიკვლევადობისა და გაზომვის განუსაზღვრელობის კუთხით, არსებული საკითხების დასაძლევად.

დაგეგმილი ღონისძიებები:

ა) პრიორიტეტული ტექნიკური სფეროები სადაც საჭიროა აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებისათვის პრაქტიკული ტრეინინგები:

- ისო/იეკ 17025 - ძირითადი სტანდარტი, რომელიც გამოიყენება ტესტირებისა და დაკალიბრების ლაბორატორიების აკრედიტაციაში.
- ისო/იეკ 17065 - საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გამოიყენება პროდუქციის/მომსახურების/პროცესების სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციისას;
- ისო/იეკ 17011 - საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გამოიყენება, რათა საერთაშორისო მასშტაბით ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნის აკრედიტაციის ორგანოს მიერ აკრედიტებულ პირების ურთიერთ აღიარებას;
- ისო/იეკ 17020 - საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გამოიყენება საინსპექციო ორგანოების აკრედიტაციისას. აქცენტი უნდა გადაკეთდეს სხვადასხვა ასპექტებზე: ხარისხის სახელმძღვანელო და პროცედურები და სხვა.(მანქანები, ლიფტები, ამწეები, მცურავი საშუალებები, საკვები პროდუქტები, წყალი, გარემო და სხვა);
- ისო/იეკ 17021 - სტანდარტი, რომელიც ეხება ისეთი პირების აკრედიტაციას რომლებიც ანხორციელებენ აუდიტსა და მენეჯმენტის სისტემების სერტიფიცირებას.;
- ისო/იეკ 17024 - სტანდარტი, ეხება ისეთ პირების აკრედიტაციის რომლებიც ანხორციელებენ პერსონალის სერტიფიცირებას;
- ისო/იეკ 15189 - სტანდარტი, რომელიც აწესებს მოთხოვნებს სამედიცინო ლაბორატორიების მიმართ.

ბ) სხვა არეალი საჭირო ტრენინგებისა ეხება აკრედიტაციის ცენტრის მიერ კონტრაქტით დაქირავებული შემფასებლების უნარჩვევების გაუმჯობესებას და მათ ინფორმირებას აკრედიტაციის პროცედურების შესახებ:

- არსებული ტრენინგების სისტემის გაუმჯობესება აკრედიტაციის ექსპერტების (შემფასებლებისათვის) ინდივიდუალური მიდგომითა და სპეციალური კურსებით;
- ტრენინგების კურსები შემფასებლებისა და აკრედიტებული ორგანოებისათვის შემდეგ თემებზე: დაკალიბრებისა და ტესტირებაში გაზომვის განუსაზღვრელობის გამოთვლა და ანალიზის მეთოდების ვალიდაცია.

გ) ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტები პრიორიტეტულია, რომელიც მოითხოვს ტრენინგებს. ხოლო ქვემოთ მითითებული დამატებითი სტანდარტების შესაბამისი ტრენინგების განხორციელებას აკრედიტაციის ცენტრი განიხილავს საჭიროების შემთხვევაში.

- ისო/იეკ 17002 – პრინციპები და მოთხოვნები კონფედენციალურობის თაობაზე, რამდენადაც ის ეხება შესაბამისობის შეფასებას;
- ისო/იეკ 17003 – პრინციპები და მოთხოვნები საჩივრებისა და აპელაციების თაობაზე, რამდენადაც ის ეხება შესაბამისობის შეფასებას
- ისო/იეკ 17043 – ზოგადი მოთხოვნები კვალიფიკაციაზე ტესტირებების შესახებ;
- ისო/იეკ 19011 – სახელმძღვანელოები ხარისხისა და/ან გარემო პირობების მართვის სისტემების აუდიტის შესახებ;
- ისო/იეკ 27006 – მოთხოვნები იმ ორგანოების მიმართ რომლებიც ანხროცილებენ აუდიტსა და საინფორმაციო უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემების სერტიფიცირებას.

ცალკე მიმართულებაა აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებსა და სხვა აკრედიტებული პირების ცოდნის ამაღლება ახალი მიდგომის ევროპული დირექტივებისა და CE მარკირების დატანასთან დაკავშირებით.

დაგეგმილი ღონისძიებები: ცოდნისა და ინფორმირების ღონის ამაღლება აკრედიტაციის თანამშრომლებისა ახალი მიდგომების დირექტივათა პრინციპების შესახებ. აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლების ტრენინგები შესაბამის ახალი მიდგომის ევროპულ დირექტივებზე(მათ შორის: ლიფტები, საბაგირო გზები, წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭელი, ტრანსპორტირებადი წნევის აპარატურა, დაბალი ძაბვის მოწყობილობა, სამედიცინო მოწყობილობები, მანქანათმშენებლობის მოწყობილობების უსაფრთხოება და სხვ. - სამთავრობო პროგრამის მიხედვით)

4.2. აკრედიტაციის ცენტრის წესები და პროცედურები და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა

ძირითადი პრიორიტეტი აკრედიტაციის ცენტრისათვის არის აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციებში შემდგომი ინტეგრაცია. პირველ ეტაპზე EA-ს ასოცირებული წევრობა, ხოლო შემდგომ, ორმხრივ აღიარების ხელშეკრულების გაფორმება EA-სთან და მრავალმხრივ ხელშეკრულების გაფორმება ILAC-თან.

ამ მიზნის მისაღწევად, არსებითი პირობაა აკრედიტაციის ცენტრის ხარისხის სისტემის შესაბამისობა სტანდარტთან ISO/IEC 17011, წესებისა და პროცედურების შესაბამისობა საერთაშორისო (EA, ILAC, და IAF) აკრედიტაციის სისტემებთან და სრულყოფილად იყოს დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა.

ხარისხის მენეჯმენტის დოკუმენტაცია, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, თუმცა ის კვლავ საჭიროებს დამატებებსა და გადახედვას.

დაგეგმილი ღონისძიებები:

- აკრედიტაციის წესები და პროცედურები(ე.წ. ნიმუშის აღება და სამუშაო ადგილზე აუდიტის პროცედურა, აპელაციებისა და საჩივრების პროცედურები, ლოგოსა და მარკის გამოყენების პროცედურა, აკრედიტაციის მოქნილ სფეროსთან დაკავშირებული საკითხები და ასე შემდეგ) (EU, EA, ILAC, და IAF) საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლების, მათ შორის, გარე შემფასებლებისა და ტექნიკური შემფასებლების სამუშაო წესების დეტალიზაცია;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პროცედურების, ჩანაწერების, ინფორმაციისა და დოკუმენტების (მათ შორის კონტროლირებადი დოკუმენტაცია, ანგარიშებთან მოპყრობის წესები, შიდა აუდიტი და ა.შ.) გაუმჯობესება;
- დოკუმენტაცია რომელიც მოიცავს მენეჯმენტის სისტემის პროცედურებს და იყენებს ჩანაწერებს, ინფორმაციას და დოკუმენტებს (მათ შორის კონტროლირებადი დოკუმენტაცია, ანგარიშებთან მოპყრობის წესები, შიდა აუდიტი და ასე შემდეგ) გაუმჯობესებისათვის;
- აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის სახელმძღვანელოს, მათ შორის პოლიტიკის და საჭირო დანართების გაუმჯობესება;
- შიდა აუდიტის სისტემის გაუმჯობესება;
- წინასწარი შეფასება EA-ს წესების მიხედვით.

4.3. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ ტექნიკურ კომიტეტებში მონაწილეობის მიღება.

აკრედიტაციის ცენტრმა 2009 წლის ნოემბერში ხელი მოაწერა EA-თან ხელშეკრულებას ურთერთთანამშრომლობის თაობაზე. აკრედიტაციის ცენტრის წევრობა და სრულყოფილი მონაწილეობა ამ ორგანიზაციების გენერალური ასამბლეის და ტექნიკური კომიტეტების

მუშაობაში მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ცენტრის საერთაშორისო აღიარების მიღწევისათვის.

აკრედიტაციის ცენტრმა ასევე უნდა შეინარჩუნოს თანამშრომლობა ILAC-თან, რომლის აფილირებული წევრიც არის 2007 წლიდან.

(აღნიშნულ საკითხს მოიცავს TWINING –ის პროექტი 2011 წლის ბოლოდან შემდეგი 18 თვის განმავლობაში)

დაგეგმილი ღონისძიებები: EA-სთან თანამშრომლობის გაღრმავება და თანამშრომლობის ახალ სტადიაზე გადაყვანა, რაც გულისხმობს ასოცირებული წევრის სტატუსის მოპოვებას და აქტიური მონაწილეობა სამუშაო შეხვედრებში. ასევე ILAC-ის აფილირებული წევრის სტატუსის შენარჩუნება.

4.4. დოკუმენტაციის თარგმნა

აკრედიტაციის პროცესის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, მნიშვნელოვანია ამ სფეროში არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტების განახლების შესაბამისად.

დაგეგმილი ღონისძიებები:

- EA, ILAC- ს IAF-ის და სხვა ორგანიზაციების განახლებული (2011 წლის და ა.შ.) დოკუმენტების იდენტიფიცირება და მათი თარგმნა აკრედიტაციის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

4.5. კვალიფიკაციაზე ტესტირებების ჩატარებების უზრუნველყოფა.

აკრედიტაციის ცენტრის შეუძლია განახორციელოს განმარტებითი შეხვედრა კვალიფიკაციაზე ტესტირებების ჩამტარებელთათვის, რათა დააინტერესოს შესაბამისი ჯგუფები. ცენტრმა შესაძლოა განახორციელოს კვალიფიკაციაზე ტესტირების ჩამტარებელთა შეფასებაც. სათანადო კომპეტენციის მქონე პირები, მათ შორის, კვლევითი ინსტიტუტები, ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტი, კერძო კომპანიები, შესაძლოა იყონ კვალიფიკაციაზე შემოწმების ჩამტარებლები.

დაგეგმილი ღონისძიებები:

- განმარტებითი შეხვედრის ორგანიზება კვალიფიკაციაზე ტესტირებების ჩამტარებელთა ხელისშეწყობის მიზნით;
- გამოცდილების მიღება ადგილობრივი კვალიფიკაციაზე ტესტირებისა და ლაბორატორიათშორისი გამოცდების ჩამტარებელთა შეფასების თაობაზე.

აკრედიტაციის ცენტრის რეფორმების მიზანი 5: ინფორმირებულობის ზრდა აკრედიტაციის თაობაზე.

5.1. ცენტრმა უნდა იმუშაოს საქართველოში აკრედიტაციის ინსტრუმენტის სარგებლობის შესახებ უკეთესი ინფორმირებისათვის, მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და TWINING პროექტის მხარდაჭერით.

დაგეგმილი ღონისძიებები:

- აკრედიტაციის სფეროში ყოველწლიური კონფერენციის ორგანიზება
- საინფორმაციო სემინარის ორგანიზება თემაზე - „აკრედიტაციის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში“;
- სავაჭრო ტექნიკურ ბარიერებზე, აკრედიტაციაზე, შესაბამისობის შეფასებაზე და სხვა შესაბამის საკითხებზე საინფორმაციო მასალის მომზადება.

დანართი 1: აკრედიტაციის ცენტრის ძირითადი სამოქმედო გეგმა 2011-2015 წწ -მატრიცა